№2466 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 27^4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, კაცხის სვეტის მონასტრის და კაცხის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტულ-ინფრასტრუქტურული ობიექტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის მოწყობის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული, იმერეთის სატყეო სამსახურის ჭიათურის სატყეო უბნის კაცხის სატყეოს კვარტალ №21-ის ლიტერ №4-ში (163 კვ.მ) და კვარტალ №17-ის ლიტერ №5-ში (67 კვ.მ) არსებულ მიწის ფართობზე (სულ - 230 კვ.მ), სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების მოჭრის უფლებით

გარეშე) ვადა, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს განესაზღვროს 2 (ორი) წლით.

2. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის, საკომპენსაციო ღონისძიების სახით, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული წყალტუბოს სატყეო უბნის ცხუნკურის სატყეოს №8 კვარტალის №9 ლიტერში, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას დაქვემდებარებული ფართობის ტოლფას ფართობზე (230 კვ.მ), 2015 წლის 15 მარტიდან პირველ მაისამდე, უზრუნველყოს ტყის აღდგენის ღონისძიება - ტყის გაშენება-დარგვით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**